საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/2658-18

"03" 08 2018 წ

შპს „მეტაკომს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2018 წლის 2 აგვისტოს 15:00 საათზე** შპს „მეტაკომის" მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმის წარმოუდგენლობის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხის განხილვა გადაიდო და გაიმართება **2018 წლის 9 აგვისტოს, 15:00 საათზე,** მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18 (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №შ-10/3301-18 მოხსენებითი ბარათი).

შეგახსენებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 27 ივლისი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის 2018 წლის 27 ივლისის N03/2522-18 შეტყობინება (3 ფურცელი).

იოსებ ხარებავა
ადმინისტრაციის უფროსი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

№ 03/2522-18 "27" 07 2018 წ.

შპს „მეტაკომს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ **2018 წლის 2 აგვისტოს, 15:00 საათზე** მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „მეტაკომი"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმის წარმოუდგენლობის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №შ-10/3301-18 მოხსენებითი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 27 ივლისი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე მუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 11 ივლისის №შ-10/3301-18 მოხსენებითი ბარათი თანდართული დოკუმენტაციით (2 ფურცელი);

იოსებ ხარებავა
ადმინისტრაციის უფროსი

ნ.ა. მერიას

ითხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აწარმოოთ საქმის წარმოება

მ. ქათამაძე
11.07.201 8წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
[კომ]ისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ მერაბ ქათამაძეს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

[მოხსენებ]ითი ბარათი

ბატონო მერაბ,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 10 ივლისის მდგომარეობით, კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები (მცდელობის მიუხედავად) ორი და მეტი თვის განმავლობაში არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმებს და კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად გააჩნიათ რეგულირების საფასურის დავალიანება, იხ. ცხრილი:

ცხრილი

N	კომპანია	ს/კ	რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმის წარმოუდგენლობა	რეგულირების საფასურის დავალიანება წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად (ლარი)
1	მეტაკომი	216330771	2018 წლის - აპრილი და მაისი	
2	სკაი სერვისი	404852588	2018 წლის - აპრილი და მაისი	
3	იმკომი	404383252	2018 წლის - აპრილი და მაისი	
4	iConnect	415083830	2018 წლის - მარტი, აპრილი და მაისი	1,327.59
5	ჯენკოლაინი	437082456	2018 წლის - აპრილი და მაისი	25.70
6	ჯეოსატი	405107988	2018 წლის - აპრილი და მაისი	
7	ბოგურნეტ	400167857	2018 წლის - აპრილი და მაისი	16.03
8	კომინეტ ავდ	405129383	2018 წლის - მარტი, აპრილი და მაისი	
9	ინფაკორ სოლუშენს	433646986	2018 წლის - აპრილი და მაისი	
10	ბასტიონი	432544080	2018 წლის - აპრილი და მაისი	
11	ჯორჯიან ტელეკომი	406210283	2018 წლის - იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი და მაისი	

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი: 12 ფურცელი.

პატივისცემით,

ნ. დევდ

ნათია დევდარიანი
11/07/2018

ჯ10/3301-18
11 07 18
1+12

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№07/8164-18 „28“ 06 2018 წ

შპს „მეტაკომი“

ს/კ - 216330771

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გაცნობებთ, რომ 2018 წლის 26 ივნისის მდგომარეობით:

წარმოსადგენი გაქვთ 2018 წლის აპრილის და მაისის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების ელექტრონული ფორმა (1,9 ფორმა).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად გევალებათ ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინოთ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური.

გთხოვთ, 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით წარმოადგინოთ რეგულირების საფასურის გაანგარიშების ელექტრონული ფორმა (1,9 ფორმა) და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოთ რეგულირების საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უფლებულია განიხილოს ავტორიზებული/ლიცენზირებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის დაზუსტებისა და კონსულტაციის მიზნით დაუკავშირდით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტელ: (032) 239 40 29.

კომისიის თავმჯდომარე კახი ბექაური

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge